ხელშეკრულება №3/16 /51

ქ. თბილისი 25 იანვარი 2012 წელი

შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი", მისი დირექტორის თორნიკე შიოლაშვილის სახით, (შემდგომში წოდებული როგორც "შემსრულებელი") ერთის მხრივ და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, მისი თავმჯდომარის დიმიტრი გეგელიას სახით (შემდგომში წოდებული როგორც "დამკვეთი") მეორის მხრივ, საქართველოში მოქმედი კანონების და საწარმოს დებულების შესაბამისად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე ახორციელებს ჩამოწერილი ქონების განადგურება-დამარხვის სამუშაოებს ნაგავსაყრელზე (შემდგომში "მომსახურება").

მუხლი 2. ხელშეკრულების პირობები

2.1 შემსრულებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მოემსახუროს დამკვეთს. შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2 დამკვეთი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 **შემსრულებელი ვალდებულია:**

3.1.1 დროულად და ხარისხიანად განახორციელოს 1.1 მუხლში აღნიშნული მომსახურება.

3.2 **შემსრულებელს უფლება აქვს:**

3.2.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დამკვეთისაგან მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.

3.2.2 დამკვეთისაგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.3 **დამკვეთი ვალდებულია:**

3.3.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.

3.4 **დამკვეთს უფლება აქვს:**

3.4.1 მოითხოვოს შემსრულებლისაგან უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამოსწორება.

3.4.2 მოითხოვოს შემსრულებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.4.3 შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში წერილობითი ფორმით ან ცხელი ხაზის მეშვეობით (ტელ: 2619050) აცნობოს შემსრულებელს.

3.5 მხარეები ვალდებულნი არიან დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 4. ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ღირებულება

4.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

4.2 1 ტონა სარეალიზაციოდ უვარგისი და ვადაგასული პროდუქციის განადგურება-გაუვნებელყოფის მომსახურების ღირებულება შეადგენს 14 ლარს დღგ-ს ჩათვლით. თუ დადგინდება რომ გასანადგურებელი-გაუვნებელყოფას დაქვემდებარებული საქონლის წონა შეადგენს 1 ტონაზე ნაკლებს, დამკვეთი იხდის 1 ტონის მომსახურების საფასურს.

4.3. დამკვეთი ვალდებულია ჩარიცხოს თანხა შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღეში.

4.4. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ მხარეები ადგენენ სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტს, რაც ადასტურებს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

.მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრლად და ჯეროვნად შესრულებამდე.

5.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებთ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან.

მუხლი 6. სადავო საკითხების მოგვარება

6.1 დამკვეთსა და შემსრულებელს შორის წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციისას წარმოშობილი სადავო საკითხები წესრიგდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მუხლი და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რომელიც უნდა იყოს წერილობითი. ზეპირ გარიგებებს ძალა არა აქვთ.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა დამკვეთს, ხოლო ორი ეგზემპლარი ინახება შემსრულებელთან

ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსრულებელი	**დამკვეთი**
შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“ დირექტორი	საერთო სასამართლოების დეპარტამენტი თავმჯდომარე
თ. შიოლაშვილი	დ. გეგელია

საბანკო რეკვიზიტები:

შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფი" მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67 საიდ. კოდი: 206267494 ს.ს "ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: LBRTGE22 ა.ა. № GE90LB0113172770216000	**საერთო სასამართლოების დეპარტამენტი** იურიდ. მის: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32 საიდ. კოდი: 203 860 642 ს.ს. „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი: TRESGE22 ა.ა. № 200122900